



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი



ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

თბილისი 2018

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავების მიზანი

1. ამ მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

2. სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი/პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- სასწავლო გარემო/მატერიალურ-ტექნიკური/სასწავლო რესურსი;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.


3. კოლეჯის ხარისხის სრულყოფისათვის დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულების რეგულარული გამოკითხვის საშუალებით.

4. სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.


სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

1. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ❖ დაგეგმვა;
- ❖ განხორციელება;
- ❖ შეფასება;
- ❖ გადახედვა/გაუმჯობესება.



დაგეგმვა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



განხორციელება - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. განხორციელება მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს. მნიშვნელოვანია სტუდენტების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში, სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება/ხელშეწყობა და შემდგომი კავშირი). პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება/სრულყოფა, კომუნიკაცია, ფინანსური რესურსები.

განხორციელება

ძირითადი პროცესები

სტუდენტების მიღება/ჩართვა სწავლის პროცესში

- ა. სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესები;
- ბ. სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გ. სტუდენტთა გზამკვლევი.

სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი

- ა. პროგრამების ადაპტირება/განვითარება/-დამატების დასაბუთება/ცვლილებები;
- ბ. სასწავლო გეგმები;
- გ. სასწავლო პროცესის მონიტორინგი (გაკვეთილზე დაკვირვება და ა.შ.);
- დ. სტუდენტთა შეფასება;
- ე. პრაქტიკის კომპონენტი.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება და შემდგომი კავშირი)

- ა. კარიერული სერვისები/კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

დამხმარე პროცესები

მასწავლებელთა კვალიფიკაცია/ტრენინგები

- ა. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ პოზიციებთან.
- ბ. მასწავლებელთა საჭიროების კვლევა;
- გ. ტრენინგები/პროფესიული განვითარება;
- დ. პერსონალის გაიდი/გზამკვლევი.

მატერიალური რესურსი

- ა. მასალის, ნედლეულის შნახვის და გამოყენების წესი;
- ბ. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის/განკარგვის წესი;
- გ. ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში ნარჩენების უტილიზაციის წესი;
- დ. დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- ე. სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.


კომუნიკაცია

- ა. ვებ-გვერდი;
- ბ. კატალოგი;
- გ. საკომუნიკაციო არხები.


თინანსური რისორსიები

შეფასება - დაწესებულებაში შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სახით: თვითშეფასება, მიზნობრივი მონაცემების შეგროვება, მონაცემების ანალიზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება.

კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება და განიხილება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.



გადახედვა/გაუმჯობესება - ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვრავს კვლევით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.



სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

კოლეჯის მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება სასწავლო პროცესის სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- ❖ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის გამოკითხვა/შეფასება;
- ❖ პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა;
- ❖ კურსდამთავრებულების გამოკითხვა;
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა;
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი;

❖ გარე ფაქტორების კვლევა.

დაწესებულებაში შემუშავებულია ონლაინ კითხვარები: პროფესიული სტუდენტის კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი, დამსაქმებლის კითხვარი.

პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასება

1. პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხდება შემდეგი ინსტრუმენტებით:

- ❖ ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის მიერ საკონტაქტო საათზე (თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობა, შეფასების პროცესი) დასწრება;
- ❖ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა შემუშავებული ონლაინ კითხვარების მეშვეობით.

2. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- ❖ მოდულის შეფასება;
- ❖ პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება;
- ❖ სასწავლო რესურსების შეფასება.

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხდება ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერის წარდგინებით, კოლეჯის მიერ შემუშავებული ონლაინ კითხვარებით. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტები ავსებენ ონლაინ კითხვარეს, რომელთა ანონიმურობა დაცულია.

3. კურსდამთავრებულების გამოკითხვა

წელიწადში ერთხელ ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად ატარებს კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.

4. კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა/სტატისტიკის ანალიზი

კოლეჯი ვალდებულია აწარმოოს თავისი კურსდამთავრებულების დასაქმების ყოველწლიური აღრიცხვა, რომლის სტატისტიკის ანალიზის განხილვაც ხდება ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერისა და დირექტორის მიერ.

5. კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართვა სასწავლო გეგმის/გეგმების შემუშავებაში

კოლეჯში გარკვეული პერიოდულობით იგეგმება კოლეჯის ყველა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრები, რომელთა მიზანიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა და რეკომენდაციების გათვალისწინება კონკრეტული პროგრამების სასწავლო გეგმების შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში.

6. გარე ფაქტორების კვლევა

კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდება საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების კვლევა და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხის განსაზღვრას.

კოლეჯის შიდა შეფასების შედეგები

ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხისა და პერსონალის მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

წინამდებარე დოკუმენტს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

ამ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და/ან ძალადაკარგულად გამოცხადება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.

Deming Cycle and ITIL Correlation

